04/11/2025

MES 4 25 0001525478

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის" დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლა:
ნათია სარსევანიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლა:
ქეთევან ცერცვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ- ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლა:
ეკატერინე ხარძიანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლა:
მერი დიასამიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა:
ია ღარიბაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლა:
ა) თამარ კეშელავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინათინი სიბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანანო შანავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლა:
ა) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარი დემეტრაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა შალიკიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამილა თამაზაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლელა ფანოზიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლა:

ა) მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ კავლელიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინათინ გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თალიკო ჯაყელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ჩივაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა:
ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 22 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ ცენტრს დაუკავშირდა სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ითხოვა აღნიშნული საკითხის ბოლო საკითხად გადატანა.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით.

1. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ კეშელავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას არსებული ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსით შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის ან 500 მოსწავლეზე, იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას შეძლებდა ორ ცვლაში.

ექსპერტმა, თამარ კეშელავამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო და სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე, დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო სკოლის ეზოს შემოღობვასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, თამარ კეშელავამ, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დარღვეული იყო სკოლის უკანა ტერიტორიის ღობის მთლიანობა, თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის დროს დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა მტკიცებულება, რომ სკოლის ტერიტორია იყო სრულად შემოღობილი.

საბჭოს წევრმა, ირმა ამირანაშვილმა, აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკებს შორის იყო დიდი დიაპაზონი (მაგალითად 1-4, 5-7, 8-10 ქულა) და ბუნდოვანი იყო ერთი და იმავე კრიტერიუმით რა შემთხვევაში როგორ ფასდებოდა მოსწავლე. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ კურიკულუმებში იყო ელექტრონული რესურსების სიმწირე და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა აღნიშნული გაემრავალფეროვნებინათ.

სკოლის დირექტორმა, ნათია სარსევანიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სტანდარტული შეფასების რუბრიკა, მაგალითად 4-5, 5-6, 6-7 ქულა და სავარაუდოდ, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელსაც აუცილებლად გამოასწორებდნენ.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა კათედრების სემესტრული ანალიზი ყოფილიყო უფრო ვრცელი და შინაარსობრივი, ასევე, დიაგნოსტიკური შეფასებები საჭიროებდა მეტ ანალიზს და დაკონკრეტებას. მისი თქმით აღნიშნულში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სტანდარტიდან ამონარიდი. საბჭოს წევრის განმარტებით

გარკვეულ კურიკულუმებში არ იკითხებოდა დავალებების იდეა. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს გაეთვალისწინებინა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული ყველა რჩევა რეკომენდაციებთან ერთად და აქვე დაინტერესდა, რა სტრატეგია ჰქონდათ სკოლის წარმომადგენლებს აღნიშნულის გათვალისწინებისთვის.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმებში არ იყო ასახული როგორ უნდა გავიდეს მოსწავლე შუალედურ სასწავლო მიზანზე და მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, აღნიშნულთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის.
სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტმა ზემოაღნიშნული მიმართულებით ვიზიტის დროს გასცა რჩევა და წარმოდგენილი ჰქონდათ გამოსწორებული დოკუმენტაცია.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, მირანდა თურმანიძემ, აღნიშნა, რომ სკოლა რეალურად სწორად ახორციელებდა პროცესებს, თუმცა დოკუმენტაციაში არ იყო შესაბამისად წარმოდგენილი, მისი თქმით, მასწავლებლებს ჰქონდათ სრული მზაობა ყველა რჩევისა და რეკომენდაციის გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორის თქმით, ვინაიდან სკოლის შენობა იყო რეაბილიტაციის პროცესში, გარკვეულ დოკუმენტაციას თავდაპირველად ნამდვილად ჰქონდა ხარვეზები, თუმცა ითვალისწინებდნენ მიღებულ ყველა რჩევას და მუშაობდნენ დახვეწასა და გაუმჯობესებაზე.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა სკოლა.
სკოლის დირექტორმა, ნათია სარსევანიძემ, აღნიშნა, რომ მიმართული ჰქონდათ პასუხისმგებელი ორგანოებისთვის და სამომავლოდ იგეგმებოდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მიღებული ჰქონდათ ბრძანება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ლაბორატორია და სამომავლოდ აღჭურვავდნენ ლაბორატორიასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს, ვინაიდან მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა დასკვნაში მოცემული იყო „300 - ერთ ცვლაში, ხოლო 500 - ორ ცვლაში“ დაეკონკრეტებინა, რომელ შემთხვევას ეთანხმებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 -ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:58
დასრულების დრო - 15:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისის საჯარო სკოლას (ს/კ: 228927533) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი დმანისი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი დმანისი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი დმანისი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის ოქტომბერში, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სამედიცინო კაბინეტში შირმის მოწყობის, საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერისა და შენობის მიღება-ჩაბარების აქტის, ტექნოლოგიების მასწავლებლის დასაქმებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1015. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1015-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.

ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი. მისი თქმით სკოლის ტერიტორიაზე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით შენდებოდა პროფესიული სასწავლებელი, რომელშიც განთავსებული იქნებოდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სკოლა შეძლებდა მის გამოყენებას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დასკვნაში ასახული გარემოებიდან გამომდინარე დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა ჩანაწერში „სკოლის ეზოში და შიდა პერიმეტრზე უცხო პირთა გადაადგილება“.

ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება კონტროლდებოდა მკაცრად, თუმცა, ერთ-ერთი ადგილობრივი ოჯახი სკოლის ტერიტორიას იყენებდა გადაადგილების მიზნით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრისთვის სკოლას მიმართული ჰქონდა მუნიციპალიტეტის მერიისთვის.

სკოლის დირექტორმა, ეკატერინე ხარძიანმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემა სკოლას 1985 წლიდან ჰქონდა. სკოლის მრავალი მცდელობის მიუხედავად აღნიშნული ოჯახი გადასაადგილებლად მაინც იყენებდა სკოლის ტერიტორიას. მისი თქმით, საკითხი აქტიურად იყო მერიის დღის წესრიგში დამდგარი,მიმდინარეობდა მოლაპარაკება და ფაქტობრივად აღმოფხვრილი იყო პრობლემა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები.

სკოლის დირექტორის თქმით, მიღებული ჰქონდათ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით მიმართული ჰქონდათ პასუხისმგებელი ორგანოსთვის.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო სამოქმედო გეგმის დახვეწასთან, კერძოდ სტრატეგიული მიზნების მასში გათვალისწინებასთან დაკავშირებით და ვინაიდან დაწესებულება მდებარეობდა კომპაქტურად დასახლებულ უბანში, ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე სახის ღონისძიება შეთავაზებული ეთნიკური უმცირესობებისთვის.
სკოლის დირექტორის თქმით, სტრატეგიული მიზნების დოკუმენტთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოიფხვრა, თუმცა არ ჰქონდათ ვებ-გვერდზე განთავსებული. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სკოლა სთავაზობდა სკოლამდელი განათლების მიღებას, რათა პირველი კლასისთვის ენობრივი ბარიერი ყოფილიყო დაძლეული, ხოლო სხვა მიმართულებით შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1015-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:17
დასრულების დრო - 15:22

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ლევან დევდარიანის სახელობის ქალაქ გარდაბნის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 226526015) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1015-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N24.
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N24.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N24.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში საგანგებო სიტუაციების მართვის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის, სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის დროს უცხო პირთა გადაადგილების სრულად შეზღუდვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 140. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სახელმწიფო ენის ექსპერტს, გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოს წევრებისთვის.
ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივმა ექსპერტმა, როლანდ ხოჯანაშვილმა, აღნიშნა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით სკოლას ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, ძირითად პრობლემას კი წარმოადგენდა ის საკითხი, რომ არ იყო გამიჯნული საკითხი და კონტექსტ-მაგალითები და იმედოვნებდა, რომ დეკემბრის თვემდე სკოლა გაითვალისწინებდა აღნიშნული მიმართულებით მიღებულ რეკომენდაციებს.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები და რეკომენდაციები გათვალისწინებული ჰქონდა თუ არა სკოლას. ასევე, აღნიშნა, რომ აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჰქონდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ეხმარებოდა სკოლების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით გამრავალფეროვნებას და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მიემართათ ამ პროექტისთვის.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა წიგნადი ფონდი, თუმცა წარმოდგენილი არ იყო თანამედროვე ლიტერატურა.
სკოლის დირექტორის, მერი დიასამიძის, განმარტებით, მიმართავდნენ აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გაამრავალფეროვნებდნენ ბიბლიოთეკას. დირექტორის თქმით კურიკულუმებთან დაკავშირებულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა. ასევე, მოწყობილი ჰქონდათ ადაპტირებული სველი წერილი და უახლოეს მომავალში იგეგმებოდა სკოლაში ლიფტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა. ასევე, აღნიშნა, რომ სკოლაში დასრულებული იყო სპორტული დარბაზის მშენებლობა და ოქტომბრის თვის ბოლოს გაიხსნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:36
დასრულების დრო - 15:39

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლას (ს/კ: 246994481) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჩინო.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობის ადაპტირების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 სექტემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N1133106 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 500 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 359.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიანი გეგმის დამტკიცება;
- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი თარიღების დაცვით შემდეგი დოკუმენტების დამტკიცება: სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები, კათედრის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი თარიღების დაცვით სოფელ საქობოს მისამართზე ადმინისტრატორის საშტატო ერთეულის დამატება;
- სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შინაგანაწესის ახალი რედაქციის შემუშავება, სადაც გათვალისწინებულია შრომის კოდექსის ძირითადი მოთხოვნები და დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულების განახლება, რომელშიც გათვალისწინებულია შრომის კოდექსის არსებითი მოთხოვნები;
- სკოლამ უზრუნველყოს გაწერილი თარიღების დაცვით დოკუმენტის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება პერსონალის მართვის მიმართულებით დაზუსტებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმები;
- სკოლამ უზრუნველყოს გაწერილი თარიღების დაცვით სკოლის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობების წარმოდგენა (ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- სკოლამ უზრუნველყოს გაწერილი თარიღების დაცვით თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის წესის შემუშავება;
- სკოლამ უზრუნველყოს გაწერილი თარიღების დაცვით მშობლებთან კომუნიკაციის წესის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები;
- სკოლამ უზრუნველყოს „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პროექტი“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება;

- სოფელ ვარდისუბანში მდებარე შენობის სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე მიღებული მიწერილობის შესასრულებლად შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა, შესაბამისი უწყებასთან დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე მიმართვა, მიწერილობით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. შესაბამისი უწყების მიერ განმეორებითი შემოწმების უზრუნველყოფა;
- შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა სოფელ საქობოში მდებარე სასწავლო კორპუსისთვის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისათვის;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების წესის შემუშავება;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების წესის შემუშავება;
- უზრუნველყოს დოკუმენტის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების მექანიზმი;
- უზრუნველყოს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მომზადების შესახებ;
- უზრუნველყოს კომუნიკაცია შესაბამის უწყებასთან ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობისათვის (ინდიკატორი N3.5.1.2);
- უზრუნველყოს კომუნიკაცია შესაბამის უწყებასთან ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობისათვის (ინდიკატორი N 3.5.1.3);
- უზრუნველყოს კომუნიკაცია შესაბამის უწყებასთან ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობისათვის (ინდიკატორი N 3.5.1.4);
- შეიმუშავოს სოფელ საქობოს მისამართზე მყოფი მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსებზე წვდომის მექანიზმი;
- დაამუშავოს ბიბლიოთეკის რესურსი საბიბლიოთეკო წესით;
- შეიმუშავოს და დაამტკიცოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იქნება აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები;
- მოსწავლის უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი წესის შემუშავება;
- წარდგენილი განცხადების/ საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურების პროექტის შემუშავება და დამტკიცება, სადაც ჩანს საჩივრის განხილვაზე პასუხისმგებელი პირი/ერთეული და საჩივრის განხილვის ვადები, აგრეთვე, მოსწავლის უფლება დისციპლინური კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;
- შინაგანაწესის ახალი რედაქციის პროექტის შემუშავება და დამტკიცება;
- უზრუნველყოს ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმება;
- უზრუნველყოს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, და სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის“ წესის პროექტის შემუშავება და დამტკიცება;
- უზრუნველყოს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, და სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის“ წესის პროექტის შემუშავება და დამტკიცება.“

ექსპერტის განმარტებით რამდენიმე რეკომენდაციის შესრულება არ ფასდებოდა, ვინაიდან სოფელ საქობოში მდებარე შენობის ექსპლუატაცია იყო დაუშვებელი, კერძოდ:

- შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა სოფელ საქობოში მდებარე შენობაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო კაბინეტის მოწყობის მოთხოვნის თაობაზე;
- შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა ექიმის/ექთნის საშტატო ერთეულის მოთხოვნის თაობაზე;
- სოფელ საქობოში მდებარე შენობის აღჭურვა უსაფრთხოების კამერებითა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;
- ეზოს ღობის შეკეთება.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა გამარჯვებული იყო ორ კონკურსში, რომელიც ორგანიზებული იყო საერთაშორისო და სახელმწიფო პარტნიორების მხარდაჭერით, ასევე, სკოლის საუკეთესო გამოცდილებად დაასახელა განხორციელებული ღონისძიებების თავმოყრა და რეფლექსიის ერთიან დოკუმენტად შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნისსაჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:05
დასრულების დრო: 16:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნისსაჯარო სკოლის (სკ: 233137922) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, სკოლის შენობის (სოფელ საქობოში) რეაბილიტაციის და სოფელ ვარდისუბანში მდებარე შენობის მეორე და მესამე სართულების ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 180. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 180 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული STEM აქტივობებში, კლუბი „ბერილი“ გამარჯვებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტში, ჩართული იყო CENN, Technovation Girls პროექტებში, ასევე, სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ საზაფხულო ბანაკებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებდა სამეურვეო საბჭო და არა სკოლის დირექტორი, როგორც ეს წარმოდგენილი სკოლის შემთხვევაში იყო. მისიაში აღწერილი იყო ინკლუზიური გარემოს შექმნა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერება და ა.შ, რაც არ იკითხებოდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. ასევე, დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო სკოლაში მანდატურის დასაქმებასთანმიმართებით.

სკოლის დირექტორმა, ქეთევან ცერცვაძემ, აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა სტრატეგიულ გეგმას, გათვალისწინებული ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული რეკომენდაცია და მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

აქვე, საბჭოს წევრმა დასძინა, რომ არ იყო შეფასების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები წარმოდგენილი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პრინციპი იყო დარღვეული.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი უნდა ყოფილიყო მეტად ცხადი და დაკონკრეტებული, თუ როდის რა ქულა ეწერებოდა მოსწავლეს. ასევე, აღნიშნა, რომ „დაწერე

სტატია“, „შექმენი გამოფენა“ და ა.შ არ იყო დავალების იდეა და საჭიროებდა მეტად დახვეწას. აქვე, საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, დასძინა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო მოცემული ინფორმაცია შემაჯამებელი დავალების აღდგენასა და საშემოდგომო გამოცდებზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, თამილა თამაზაშვილმა, აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით გაცემული ჰქონდათ რჩევები, მისი შეფასებით მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა აღნიშნულის გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორის განმარტებით, ეტაპობრივად ითვალისწინებდნენ ყველა რჩევასა და რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:25
დასრულების დრო - 16:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049225) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერშუეთი.
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერშუეთი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერშუეთი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში, შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების, სასკოლო სასწავლო გეგმაში შემაჯამებლისა და საშემოდგომო გამოცდის შესახებ დეტალური ინფორმაციის ასახვის, 2026 წლის ოქტომბერში სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის კვალიფიკაციის შესაბამისი კურსების გატარების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში გამწოვი სისტემის დამონტაჟების, სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდის აღრიცხვის და ადაპტირებული კიბეების მოწყობის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:35 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე